ჩანგი

№ 20

კვირა,

26 ივლისი

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალური წერილების გასწორება-შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

თეატრი „მულენ ელექტრიკი"
იუნკრის სასწავლებლის პირდაპირ.

სეანსები ცის ქვეშ.
ფასები დაკლებულია

უკრავს
სამხედრო ორკესტრი.

პოლიტიკური ეკონომია
ა. ბოგდანოვი-სა

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდათ არ გამოვა.

ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მათ, ვისაც ხსენებული წიგნის შეძენა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი.

ვ. გაძილია. 5—1

კვირას, 26 ივლისს

სევერიანე ივანეს ძე ჭელიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, კალოუბნის ეკლესიაში 11 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს განსვენებულის ძმა დათიკო ივანეს-ძე ჭელიძე. 2—2

გაიხსნა ახალი
თფილისის
კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფიდოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეჭერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეჭერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—21

აბასთუმანში
კბილის ექიმი
სამსონ ვაშაყმაძე
იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

კბილის ექიმი
ი. შ. ჭანტურია
იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.
კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

კვირას, 26 ივლისს, მთავრობის ნებართვით

სოფელ ფარცხანაყანევში

ორკლასიან სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ქართული წარმოდგენა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

წარმოდგენილ იქნება:

1) დატრიალდა ჯარა
ვოდევილი ერთ მოქმედ.

2) ადამ და ევა

და ბოლოს დივერტისმენტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

3—3 გამგე კოტე კვერნაძე

დ. სამტრედიაში
საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. ჯაში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე.

თფილისი, 26 ივლისი

ვგონებთ, დღეს დაფარულ-დამალული არავისთვის აღარ უნდა იყოს, რომ ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, საზოგადოთ, ძალიან ნაკლებათ ზრუნავს მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესების დაცვაზე; მისთვის ეს საკითხი, სხვათა შორის საკითხია და იგი იმაზე სულ მცირე სულიერ ენერგიას და ნივთიერ საშუალებას ხარჯავს. ქალაქის რომელ მხარესაც გინდა მივაქციოთ ყურადღება, იქნება ეს სახალხო ჰიგიენური, სოციალ-ეკონომიური თუ სოციალ-პოლიტიკური, ყველას თვითმართველობის დაუდევრობის და უზრუნველობის დაღი აზის; ყველა ამ დარგებში, მას არავითარი ღირს-შესანიშნავი ნაბიჯი არ გადაუდგამს, მინიმალურიც არა გაუკეთებია რა. თუ რისამე ჩანასახი და რისამე მიმგსავსებული რამ არსებობს, ესენიც ყველა ისეთი პრიმიტიულათ მოწყობილ-მოწესრიგებულია, რომ კაცს მათ დანახვაზე, მწარე ღიმილი მოუვა და მათ ბატონ-პატრონებს მხოლოდ ქოქოლას გადააყრას. ავიღოთ სანიმუშოთ თუნდაც ქალაქის სანიტარული და ჰიგიენური მხარე, განა ამ დარგში გაუკეთებია, რამ ქალაქის თვითმართველობას? სრულიადაც არაფერი! გარდა ზოგიერთა მთავარ ქუჩებისა, იგულისხმება, რასაკვრველია, კაპიტალისტების ნაწილი სოლოლაკიც, მთელი ქალაქის ქუჩები ჩვეულებრივად დაუწმენდელ-დაუხვეტავია, მზიან და სიცხიან დღეებში, საეტლო და სამიმოსვლო გზებზე, თითქმის კოჭებამდის მტვერი დევს. თუ ბუნებამ ცოტა შეგვიბრალა და სიცხე-პაპანებაში ხალხის ნიავით გაგრილება მოინდომა მაშინ ხომ თქვენი მტერი რომ ჩვენ დღე დაგვადგება ხოლმე: თვალები გვიზიანდება. უფრო საშინელებაა, როცა გაგვიავდრდება ხოლმე, მაშინ ხომ ქალაქის ზოგიერთა ნაწილებში, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში, პირ და პირ ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლა მოუხერხებელია; მერე განა ქალაქის ჰიგიენური ნაწილის ეს მხარეა მოუწყობელი, დაზიანებული! განა ქალაქის კანალიზაცია, ფეხის ადგილების საქმე, აბანოების და საბანაოების მოწყობა, მცხოვრებთათვის ჯანმრთელ საზრდოს მიწვდა, ბაღების და სათამაშო ალაგების გაკეთება, ავათმყოფთა და დავრდომილთა ზრუნვა, მშობიარეთა დახმარება, გადამდები სენის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა ამგვარები, როგორც ვსთქვით, ყველა პირველ ყოფილ მდგომარეობაშია. რაც შეეხება ქალაქის სოციალ-პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ მხარეს, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. აქ თითქმის არაფერი არ გაუკეთებია. ისეთი სახეირო და სასარგებლო დარგი, როგორც არის ქალაქის ტრამვაი, დღესაც უცხოელი კაპიტალისტების ხელშია და მთელი მცხოვრებიდან აღებულ ზედმეტ ღირებულებას, ტარიფის სახით, ბელგია-საფრანგეთში ხარჯავენ და იქ გემოვნებენ ჩვენ მიერ შექმნილი სიმდიდრით. სოციალ-პოლიტიკური მზრუნველობა ხომ სრულიად დავთარში არ უწერია ჩვენ თვითმართველობას. აქ არ არსებობს უმუშევართა დამხმარე ელი კომისიები, რომლებიც უნდა ცდილობდენ მათთვის საქმის გამოძებნას, საქმის შოვნას, გაჭირვებაში დახმარებას, მათ დაზღვევას და სხვა. არ არსებობს სოციალური კომისია, რომელიც მოაწესრიგებდა შრომის პირობებს, განსაზღვრავდა სამუშაო ხელ-ფასს, როგორც თვითმართველობის საწარმოვო დარგებში, ისე კერძოებშიაც. თითქმის არ არსებობს, მუქთა და იაფ-ფასიანი თავშესაფარები, მუქთა სასადილო-საჩაიები და სხვა ამისთანები. თუმცა ქალაქის გამგეობამ რაცაღა „შრომის ბირჟა" დააარსა, მაგრამ ეს თავის შედგენილობა-სტატუტებით ისეთი უვარგისი და გამოუსადეგარი რამ არის, რომ ოდნავათაც ვერ ამართლებს ვერც თავის დანიშნულებას და ვერც იმ სახელს, რომელსაც იგი ამ ჟამათ ატარებს. ამის მსგავსი ძნელათ თუ დასავლეთ ევროპაში რაიმე მოიპოვებოდეს.

რასაკვირველია, ქალაქის თვით-მართველობას, ყველა ამაების გაუმჯობესობა-მოწყობისათვის, აუცილებლათ ესაჭიროება საჭირო ნივთიერი საშუალებანი, წარმოებისათვის გამოცდილ-გაწრთვნილი პერსონალი, ხანგრძლივი დრო; გარდა ამისა ერთნაირი სოციალური თავისუფლება, ერთნაირი დამოუკიდებლობა ცენტრალურ-პოლიციურ მთავრობიდან, მაგრამ იგი ყველა ამაების გაუმჯობესობას მოახერხებდა, უკეთუ ის დაუდევრობა-უზრუნველობას, გაბატონებულ კლასთა ინტერესებს უკუ აგდებდა და მეტს შრომის და ბრძოლის უნარს გამოიჩენდა. განა ქალაქის თვითმართველობის ორი მთავარი ფუნქცია, ორი მთავარი კომუნალური მოვალეობა: თვითმართველობის საზოგადოებრივ წარმოების გაფართოება, სახალხო ჯანმთელობაზე და ჰიგიენაზე ზრუნვა, რომლებიც ასე უნუგეშო-უბადრუკ მდგომარეობაშია, მხოლოდ და მხოლოდ მართველ-გამგეთა მეოხებითაა. ჩვენ გვგონია რომ ცენტრალური მთავრობა ხელს არ შეუშლიდა, რომ მას ყველა წარმოებები, რომელსაც კი მონოპოლიური ხასიათი აქვთ და ხელსაყრელი და სარგებლიანი თვითმართველობის ხელში. კომუნას ხელში გადაეტანა. თვითმართველობის ასეთი მოქმედება სრულიადაც არ შეზღუდავდა მის ბატონობის პრინციპს, მის ბიუროკრატიულ ინტერესებს, მაშასადამე, არც უკანასკნელი მოისურვებს პირველსი ამ დასახელებულ ნიადაგზე მოქმედება-მოღვაწეობას. ასე რომ, აქ თუ არაფერი გაუკეთებია, ჩვენს კომუნალისტებს. უმთავრესად და მარტოთ და მარტოთ ბრალი მაგათ ედებათ და სხვას არავის. ამ უკანასკნელ დარგში უმუშევრობა-გაუკეთებლობამ კი შექმნა ქალაქის თვითმართველობის ის მთავარი ეკონომიური კრიზისი, ანუ როგორც თითონ იტყვიან ხოლმე ქალაქის კასის სიცარიელე, რომელიც საშუალებას არ აძლევთ რამე საგრძნობელ უმჯობესობის შეტანა ქალაქის ეკონომიურ და ჰიგიენურ სფეროში. ვსთქვათ დღეს ქალაქის თვითმართველობას უსახსრობის გამო არ შეუძლიან რომელიმე დიდ ხარჯიან, კომუნალურ, საზოგადოებრივ ინსტიტუციებ-დაწესებულებების მოწყობა, როგორიც არის მაგ. მუქთა ან და იაფ-ფასიან ბინების, სასადილო-საჩაიების მოწყობა, აბანოების და საბანაოების აშენება და სხვა ამისთანები. ვთქვათ მართლა თვითმართველობის კასა ღარიბია, მისი შემოსავალი ძალიან ნაკლებია და არ შეუძლიან ზევით აღნიშნულ სოციალურ დაწესებულებების მოწყობა-მოწესრიგება (?) მაგრამ კომუნალურმა გაუმჯობესობამ რაღა დააშავა, რომელიც მართლა ყოვლად უმნიშვნელო ხარჯებს მოითხოვს? განა აქაც ჩვენი თვითმართველობა, თავის უზრუნველობას დაბალ ხალხისადმი, უსახსრობით მოიბოდიშებს თავს! მერე რა ისე ძვირათ უნდა დაუჯდეს ჩვენ ქალაქს, რომ დღეში ერთხელ მაინც მოგვირწყას ქუჩები და ერთი ორი სასეირნო ბაღები? ამ აუტანელ სიცხე-პაპანებაში მცხოვრებთა შეუძლებელ ნაწილს ოთახში ბუღის და სიმყრალის სუნი ახრჩობს, გარეთ გამოვა და მტვერი და ვაი-ვაგლახი. რაც შეეხება სასეირნო-საზოგადოებრივ ბაღებს, ესენი ხომ, ქალაქის თვითმართველობის უდაევრობის გამო ბაღების ნასახსაც არ ატარებენ. ჯერ ერთი, რომ ბაღების დიდი ნაწილი კერძო მესაკუთრეების ხელშია და როგორც მათი ინტერესები მოითხოვს, ისე იყენებენ; დარჩა ერთი ორი სასეირნო ტყიანი ბაღები, რომლებიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს. ვითომ ამ ბაღებმა ხალხის ჯანმრთელობა, მისი ბუნებრისადმი გრძნობა გააღვიძ-გაამაგრეს, ან და დაიცვას იგი ქალაქის ქუჩების მტვერსიცხისაგან, თქვენც არ მომიკვდეთ, აქაც იგივე მტვერი, იგივე სიხრიაკ-დამწვარობა, როგორც ჩვეულებრივ ქუჩაზე. განა ამ ორიოდე სასეირნო ბაღების მორწყვა და მწვანით აბიბინება ბევრი დაუჯდებოდა, განა ამათი ნამდვილ სასეირნო ბაღების დამგზავსება უშველებელ ხარჯებს მოითხოვდა, რომ ამით მაინც საშუალება მიეცა ქალაქის ბოგანოთათვის დღე-ღამეში ერთი ორი საათი მაინც სუფთა ჰაერით ესუნთქათ! მაგრამ ჩვენს მამებს, ეტყობათ, ჯერ ამისათვის არ სცხელათ, ეს მათ არ აწუხებთ. ვისთვისაც წუხან და ფიქრობენ, მათ უკვე საავარაკო კურორტებში ამოყვეს თავი. თითონაც, როცა დასცხებათ უმალვე გაისეირნებენ საგრილობელ ალაგებში, თითო-ოროლი თვე შეისვენებენ და რა დარდი აქვთ, თუ ქალაქის შეუძლებელი ნაწილი სიცხესა და მტვრით იხრჩობა. ეტყობა, ასეთია ბურჟუაზიული მართველობის პატრონობა ხალხისადმი.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.

II.

(დასასრული).

გაბატონებულ კლასთა ერთი ნაწილი წინეთაც ცდილობდა ზედა პალატის—სენატის შემოღებას. ეს მათი ინტერესია: იქ გაბატონებით ხალხს უფრო ადვილათ დათრგუნვენ. ხალხის ვალია ასეთი პლანების დამსხვრევა და ერთპალატინი სისტემის—მხოლოდ მეჯლისის დაკანონება.

ამას ზედ მისდევს ადგილობრივი თვითმართველობის მოწყობა. მთელი მართვა-გამგეობა სპარსეთში და სასამართლო გარყვნილების ბუდეთ გადაქცეულა. მექრთამეობა და მტარვალობა—აი რით სურდა შაჰს ხალხის შებორკვა და კიდევაც მიზანს მიაღწია. ამ ბორკილების დამსხვრევა ადგილობრივ ძალთა საქმეა. რევოლიუციის ქარიშხალმა ენჯუმენები წარმოშვა—ეს რევოლიუციონური თვითმართველობის ორგანოები. ენჯუმენების დაკანონება და მათი ფართო უფლებებით, როგორც ადგილობრივ მოხელეთა, მათ შორის გუბერნატორისა, და მოსამართლეთა არჩევაა, ალჭურვა—აი რა განამტკიცებს სპარსეთში დემოკრატიულ წყობილებას და რეაქციონერთა ცდას—ძველი დააბრუნონ—დაამსხვრევს. სანამ ხალხი ფართო ადგილობრივ თვითმართველობას მოკლებულია, თუნდაც როგორც ეს საფრანგეთის რევოლიუციამ დააკანონა, ავანტიურისტების—დიდი და პატარა ნაპოლეონების ასპარეზი ფართოა. მით უფრო უნდა უფრთხოდენ ამას სპარსელი დემოკრატები. აქ ხალხი საუკუნოებით ბრძანება-მორჩილებას მიჩვეულია. წინეთ შაჰს ეთაყვანებოდენ, ახლა სათარხან-სეპეხდარ-სარდარ ასაღებს. როგორც ვამბობდით, სპარსეთში *ღალატი ჩვეულებრივ მოვლენათ გადაქცეულა. ვისაც სურს ღალატი დათრგუნოს და სათარხან-სეპეხდრები ხალხის მონათ აქციოს, ხალხს ენჯუმენებში ფართო უფლებები უნდა არგუნოს და ასე პოლიტიკური გამოცდილება შესძინონ.

სპარსეთის უმთავრესი უბედურება—ეს მისი უკულტურობაა. ამ მხრივ ის ოსმალეთზედაც უკან დგას. წარმოიდგინეთ, რევოლიუციის მეთაურებიც წერა-კითხვის უცოდინარი ხალხია, მოკლეთ, კულტურიდან სავსებით განდევნილია. ასეთ პირთ ერთათ-ერთი საშვალება აქვთ—სხვას მოუსმინოს. რაც ქვეყანაზე ხდება, კლასიური ბრძოლა, ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური წინსვლა და სხვა—ყველა ეს მისთვის ცხრა კლიტულია, ერთი სიტყვით, ის ბრმაა. სანამ ცხოვრება მარტივია, სათარხანებიც როლს თამაშობენ; ის გართულდა და ცხოვრებისაგან ირიყებიან. საუბედუროთ, თითქმის მთელი სპარსეთის ხალხი ასეთ მდგომარეობაშია. როგორიც ღენერალი, ისეთი ჯარი! სპარსეთის დემოკრატიის უმთავრესი საგანთაგანი სოციალურ საკითხთან ერთათ, ხალხში განათლების შეტანაა. საყოველთაო და სავალდებულო სწავლის შემოღება—აი რით შეეძლება სპარსეთის ერს მოპოვებული უფლებები გამოიყენოს და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლა განაგრძოს.

აი მოკლეთ სპარსეთის დემოკრატიის უმთავრესი მოვალეობა ამ ჟამათ. ცხადია, ამ ახალ ნიადაგზე ბრძოლა, მით უფრო, გამარჯვება ბევრათ უფრო ძნელია, ვინემ რახიმ-ხანისა და ეინ-უდ-დოულების მოგერებაა. აქ დემოკრატიას ახალი მტერი უჩნდება—ეს გუშინდელი მოკავშირენია. გაბატონებული კლასები, მათი უმეტესობა მაინც, ქვეყნის რადიკალურ განახლებას შეებრძოლება: ეს მათი ბატონობის შემუსვრა, ყოველ შემთხვევაში შემცირებაა. *ამას დაუმატეთ გარეშე მტრები და დაბრკოლების სურათი ნათელი იქნება. იმ დროს, როცა თითქმის ყველა სახელმწიფოში ხალხი თავის ში-

ნაურ მტერს ებრძვის, აქ, სპარსეთში, გარეშე მტერიც შინაურათ გადაქცეულა, უმეტესათ სახელმწიფოს ფინანსების დაპატრონებით. როგორც მოვიხსენიეთ, სპარსეთი ფინანსიურათ ახლაც დამონებულია, მარა გარეშე მტრები ამას აღარ კმარობენ და ოფიციალური ფინანსიური პროტექტორატის განმტკიცებას ცდილობენ და ასე, სპარსეთს ეგვიპტეთ გადაქცევას პირდებიან. ეს ხომ განახლების უარყოფაა და შინაური რეფორმის საერთაშორისო საკითხათ გადაქცევაა. ასეთი იარაღით სპარსეთის მტრები მას საფუძვლიანათ უთხრიან ძირს. დემოკრატიის ვალია ამ არა-მკითხე „მფარველებს“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს. რასაკვირველია, სპარსეთი ღია უნდა იქნეს უცხო კაპიტალისთვის, უპირველესათ საწარმოვო კაპიტალისთვის: ეს კულტურას წინ მიაქანებს და სპარსეთში ევროპის მდგომარეობას ამყარებს; მარა თან დახშული ფინანსიური „პროტექტორებისთვის“: ეს სპარსეთს უცხო ქვეყნების პროვინციათ გახდომას უქადის და მით მის დანგრევას ამზადებს.

ახლო მომავალი გვაჩვენებს, რამდენათ მომწიფებული დარჩება სპარსეთის დემოკრატია და უპირველესათ, ჯერ მცირერიცხოვანი სოციალისტური ჯგუფი ამ ფრიად დახლართულ პირობებში ხალხის ბრძოლის სახელმძღვანელოთ.

ნ. რ.

ადგილობრივი პრესა

„ჩანგი“-ს მე-18 ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ ან. ფურცელაძის წერილიდან ზოგიერთი ადგილები და ჩვენის მხრით შევნიშნეთ, რომ, როგორც სჩანს, სათავად-აზნაურო ბანკში მომხდარი ინციდენტი ჯერ კიდევ დიდხანს ასაზრდოვებს ჩვენებურ შოვინისტურ გაზეთებსა-თქო. „დროებას“ (№ 164) არ აკმაყოფილებს ჩვენი ასეთი მცირე შენიშვნა და გულმტკივნეულათ გვისაყვედურებს: რატომ ისიც არ თქვით, რომ სადაო საკითხში ან. ფურცელაძე მართალი არ არისო. სადაო საკითხის შესახებ, არსებითად ჩვენი აზრი ერთხელ უკვე გამოვსთქვით („ჩანგი“ № 14), რასაც თვით „დროებაც“ აღნიშნავს. ყოველ დღე ერთ და იმავეს განმეორება კი ზედმეტათ მიგვაჩნდა და ამიტომ შევნიშნეთ, რომ დროა ჩვენებური შოვინისტური გაზეთები გონს მოვიდენ და ამ ინციდენტის ღეჭვა იკმარონ-თქო. მით უმეტეს, რომ ამ ამღვრეულ წყალში ბევრი „მოღვაწეები“ პირადი ანგარიშების გასწორებას შეუდგენ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კერძო ნიადაგზე აღმოცენებულ საკითხს საზოგადო ხასიათი მისცენ და მით თავიანთი თავი ერთხელ კიდევ ქვეყნის მხსნელ-აშენებლათ მოგვაჩვენონ. რაც შეეხება „დროების“ საყვედურს: „ჩანგმა“ ჩვენი ლანძღვა გადმოიღოო, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მხოლოდ ორიოდე სტრიქონი მოვიყვანეთ. სულ რომ მოგვეყვანა ყველა ის, რასაც „დროების“ შესახებ სწერს ბ. ფურცელაძე, დაგვეთანხმეთ, რომ მაშინ სულ სხვა გამოვიდოდა ჩვენი ამონაწერი.

ამავე წერილის შესახებ უსაყვედუროთ არც „ზაკავკაზ.“ (№ 139) გვტოვებს და ამბობს:

> „ამ საკითხს ეხება მეორე ქართული გაზეთი „ჩანგიც“, მაგრამ ამ უკანასკნელს სრულიად არ აღაშფოთებს „მოღვაწე“ ფურცელაძის ასეთი ულამაზო ლიტერატურული საქციელი. მან, (ე. ი. „ჩანგმა“) საჭირო ობიექტივობაც კი ვერ გამოიჩინა, ბ. ფურცელაძის წერილის მოყვანაში და მხოლოდ ის ადგილები მოიყვანა, რომელიც ეხება ფურცელაძის ლიტერატურულ და საზოგადო მოწინააღმდეგეს.

„ზაკავკაზიეს“ რომ მოქალაქეობა შესწევდეს, ასეთ საყვედურს ის პირველ ყოვლისა თავის-თავს ეტყოდა. „ზაკავკაზიე“ და ობიექტივობა! თუ რა ყოჩაღია ობიექტივობაში „ზაკავკაზიე“ ამას ამტკიცებს იმავე ნომერში „დროებიდან“ ამოღებული ციტატა სიმონ წერეთლის შესახებ. „დროებაში“ შავით თეთრზე სწერია“

> დუშეთის ციხეში ხანდამაშვილმა დასწერა „დანოსი“. ურცხვობა და თავხედობა ავტორისა იქამდის მივიდა, რომ „დანოსი“ გააკეთა მასთან დაპატიმრებულ მღვდელ სიმონ წერეთლისა და თავის სახელით, თუმცა, **როგორც გამოირკვა მას არავითარი თანხმობა და დასტური არ ჰქონია წერეთლისაგან.**

იმავე „დროების“ სიტყვით ამის შესახებ სამედიატორო სასამართლოც შესდგა, სადაც ს. წერეთელს განუცხადებია: ხანდამაშვილს თხოვნა ჩემს დაუკითხავათ შეუდგენია. სამედიატორო სამართლის დამნაშავეთ მხოლოდ ხამანდიშვილი უცვნია და სასჯელიც გადაუწყვეტია.

„ზაკავკაზიე“ კი ყოველივე ამას უმალავს თავის მკითხველებს და ისე, ჭანდრაკულათ აკერებს წერეთლის გვარს ხანდამაშვილს, რომ მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობს, თითქოს „დანოსის“ დაწერაში წერეთელსაც მიეღოს მონაწილეობა. აბა ყური დაუგდეთ რას სწერს „ზაკავზიე“: „დროებას“ მოჰყავს „ისრიდან“ ორი დოკუმენტი, საიდანაც სჩანს, რომ, სახელმწიფო დუმის „ცნობილი“ დეპუტატის, რომელიც ცნობილია თავისი ორპირი მოღვაწეობათა და განდევნილია ს. დ. პარტიიდან, სიმონ წერეთლის თანამოაზრე ხანდამაშვილი ამხანაგებს „დანოსში“ დაუჭერიათ და კიდევაც გაუსამართლებიათო („ზაკ.“ № 139).

ასე „ობიექტიურია“ „ზაკავკაზიე“ სხვა გაზეთებიდან წერილის ადგილების მოყვანის შესახებ. მან ყოველივე წერეთლის შესახებ დაწერილი გადამალა, ის ხანდამაშვილის თანამოაზრეთ გამოყავს და ასე და ამ გვარი ბუნდოვანი და ორჭოფი ფრაზებით უმასპინძლდება თავის მკითხველებს. ასეთ „ობიექტიურ“ რედაქციას კიდევ ყოფნის სითამამე სხვას უსაყვედუროს არა. ობიექტიურობა.

თუ რამდენათ ობიექტიურათ მოჰყავს „ზაკავკაზიეს“ სხვისი წერილიდან ადგილები, სხვათა შორის კიდევ იქიდანაც სჩანს, რომ იმავე ნომერში ბ. ფურცელაძის წერილიდან „დროების“ შესახებ რაც იყო მხოლოთ გაკვრით მოიხსენია, ხოლო თვით „დროების“ პასუხი თითქმის უკლებლათ გადაბეჭდა. ასეთია „ზაკავკაზიეს“ „ობიექტიურობა“.

* * *

გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო „გუშაგის“ რედაქციის კოლეგიის წერილი „ოტისკების“ მოპარვის შესახებ და თან ჩვენი აზრიც გამოვსთქვით. „დროება გვეთანხმება ჩვენ და სამართლიანათ შენიშნავს:

> „ლაპარაკი არ უნდა, რომ ასეთი საქციელი საკადრისი არ არის და „გუშაგის“ კოლეგიის წევრთა აღშფოთებაც კანონიერია.

გაზეთს უკვირს, რომ თვით „გუშაგი“ დღემდის არაფერს ამბობს თავის თანამშრომლის მიმინოს მოქმედების გამო. ეს გაკვირვება, რასაკვირველია, მეტათ სამართლიანია და „დროებასთან“ ერთათ ჩვენც ვუცდით „გუშაგის“ აზრს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ივლისი.

სპარსეთი

ბერლინი. ვოლფს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: შეწყდა პოლიტიკურ საქმეებზე დანიშნული სპეციალური სასამართლო, რომელმაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯა რეაქციონერების ოთხ ბელადს. ამის შემდეგ ყველა პოლიტიკურ საქმეს გაარჩევენ საზოგადო სასამართლოში.

ოსმალეთი.

სტამბოლი. სამსახურიდან გადადგა ფერიდ-ფაშა, რადგან პრესამ ძლიერი იერიში მიიტანა მასზე; განსაკუთრებით მას ეხებოდა გაზეთი „ტანინი“, რომელიც ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის უმრავლესობის აზრის გამომხატველია. წინ დგას საკითხი სავაჭრო და საზღვაო მინისტრების, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გამოცვლის შესახებ. მოსალოდნელია მთელი კაბინეტის გადადგომა, მაგრამ, ეტყობა, ხილმი-ფაშა მიიღებს მონდობილებას შეადგინოს ახალი, წმინდა პარლამენტარული კაბინეტი.

მანასტირის ვილაეტში და თვით მანასტირში იფეთქა არეულობამ. იგი გამოწვეულია გადასახლებულ პირველ კორპუსის სალდათების მიერ; მათ მხარს უჭერენ ალბანელები.

სალონიკი. გრძელდება მთავრობის რეპრესიები ბერძნების წინააღმდეგ. დატყვევებულია ბევრი ბერძენი, წართმეულია თოფები. ბერძნების სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენეს. კონსულებს და სამოქალაქო აგენტებს ყოველ დღე მოუდით საჩივარი ბერძნებიდან; მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ამას.

რეპრესიები მჭიდროთ შეკავშირებულია კრიტოსის საკითხის გამწვავებასთან.

რუსეთი

მოსკოვი. დაეცენ ფოსტას, პეტრიკოვიდან სადგურზე მიმავალს. მოკლულია მეფოსტე და მეეტლე; მოტაცებულია ას მანეთზე ნაკლები.

ეკატერინბურგი. ტობოლის მაზრაში ძლიერი ქარი ამოვარდა, რომელსაც მოყვა ქათმის კვერცხის სიდიდე სეტყვა. ნათესები ბევრ სოფლებში სრულიად განადგურებულია.

სევასტოპოლი. 23—24 ივლისს საშინელი ქარი ჰქროდა. ქალაქი მტვერშია გახვეული. ტროპიკული სიცხე დგას.

ტულა. ეფრემოვის მაზრაში მოჰკლეს ტყეში სტრელეცკის ვოლოსტის მამასახლისი, რომელიც ღამით ბრუნდებოდა სახლში. ეჭვით შეიპყრეს ორი კაცი.

მოსკოვი. კრასნოსელსკის ქუჩაზე დაინგრა ხუთ-სართულიანი სახლი. დანგრევა მოხდა მუშაობის დაწყების წინ. მსხვერპლი არ ყოფილა.

კუსტანაი. საბალახოში გაჩენილ ცეცხლისაგან, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო მაზრაში გაჩნდა, მძიმეთ დაშავდა 21 კაცი. ამათში 5 გარდაიცვალა. გადაიწვა ყირგიზების 24 კარავი.

ხოლერა.

ვიტებსკი. 18-23 ივლისამდე ხოლერით ავათ გახდა 46, მოკვდა 25, ხოლერის ნიშნებით ავათ გახდა 5, უკასკნელ დღეებში ავათ გახდა 9, მოკვდა 6.

რიგა. ავათ გახდა 2, მოკვდა 1.

არხანგელსკი. ავათ გახდა 2, მოკვდა 1, მაზრაში ავათ გახდა 8 მოკვდა 3.

იაროსლავი. დღე-ღამეში რიბინსკში ავათ გახდა 7, მოკვდა 4. იაროსლავლში მაზრითურთ ავათ გახდა 4, მოკვდა 3.

პეტერბურგი. ავათ გახდა 36 მოკვდა 8. ამ ჟამათ ავათ არის 451.

საზღვარ-გარეთ

სტოკჰოლმი. ქალაქის განათების დარგის მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. მუშათა ჯგუფების ცნობით მთელ მხარეში გაფიცულთა რიცხვი 300,000-მდეა. მარტო სტოკჰოლმში 50,000 მუშაა გაფიცული.

კოუსი. გრაფ. ბენკენდორფმა აცნობა რეიტერის კორესპონდენტს, რომ ხელმწიფე იმპერატორზე მეტათ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისელების შეხვედრამო.

ვაშინგტონი. სენატმა მიიღო სატარიფო ბილლი, აღმასრულებელი კომიტეტის რედაქციით. პრეზიდენტმა ტაფტმა ბილლს ხელი მოაწერა.

ლონდონი 23 ივლის საღამოთი მოვიდა გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი.

სათემო პალატის სხდომაზე 23 ივლისს პარლამენტის მდივანმა ინდოეთის საქმეებისა ელიბანკმა წარადგინა ინდოეთის ბიუჯეტი. ამასთანავე, მან განმარტა, რომ ეკონომიურის მხრით წინა წლებთან შედარებით ინდოეთს წარმატება ეტყობაო. რაც შეეხება პოლიტიკურ მდგომარეობას, მთავრობა არც აქ გამოიჩენს სისუსტეს ძალმომრეობის და ანარქისტული აქტების მოსპობაში. ბრიტანეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაამყაროს წეს-რიგი. შემდეგ ელიბანკმა სურვილი გამოსთქვა ინდოეთის მართვა-გამგეობის საქმეების რეფორმის შესახებ იმ ფარგალში, რომელიც სტატს-სეკრეტარმა მორლეემ წარმოადგინაო. უარყო ის ცნობა, თითქოს მთავრობა რეფორმების მომხრეობას შიშით იჩენდეს, მთავრობაო,—სთქვა მან,—თავის გზით წავა წინ, მიუხედავათ იმისა, რომ მან დიდი გაჭირვება განიცადა ხსენებულ საკითხში წარსულში.

ვესტერასი (შვეცია) 50 გაფიცული მუშა სოფლათ წავიდა და იქ სამუშაოზე ხელი ააღებინა ზოგიერთ მამულებში მომუშავეთ. პოლიციამ 30 კაცი დააპატიმრა. პოლიციასთან შეტაკების დროს 23 მუშა გაიქცა და სადღაც მიიმალა.

პარიზი. გავასი იტყობინება, რომ საზღვარ-გარეთ გავრცელებული ხმა, თითქოს საფრანგეთის ჯარს ტრიპოლში ჯანეტის მიდამოები დაეჭიროს სიმართლეს არ შეესაბამებაო.

კილი სვინემიუნდედან აქ იახტა „გოგენცოლერით“ მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი, რომელიც ინახულებს ხელმწიფე იმპერატორს. კილში თავმოყრილია ამ ჟამათ ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვის ესკადრები.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი.

ქონების ჩამორთმევა. 60 მეტ მსხვილ რეაქციონერს მთავრობამ ყალი-შახის მიერ ნაჩუქარი ქონება ჩამოართვა. გარდა ამისა, მათ გადაახდევინებენ 3 მილიონ თუმნამდე მანეთს. სამმა დატყვევებულმა რეაქციონერმა უკვე შეიტანა სამასი ათასი თუმანი.

საარჩევნო სიების გამოცხადება. გაზეთებში გამოცხადებულია საარჩევნო სია. სიაში ჩამოთვლილია მოძრაობაში მონაწილეთა პოპულიარული პირების გვარები. სიაში არც ერთი მოლა არ ურევია.

საეჭვო ხმები. „ბაქო“ იტყობინება, რომ თეირანში ესეც არის ხმა გავრცელდა, ვითომც რამდენიმე ასი რუსის კაზაკები უეცრათ თეირანის ახლო გაჩნდენო. ირწმუნებიან, რომ კაზაკები ძველი ქარავნის გზით მოვიდენ და რუსეთის საელჩოს ახლო დაბანაკდენო.

პროტესტი ჩამოხრჩობის წინააღმდეგ. ბევრი ფიდაები, ევროპიელები და კავკასიელები ძალიან აღელვა ჩამოხრჩობილ გვამებისადმი დაცინვამ ბრბოს მიერ და პროტესტი განაცხადეს. სახრჩობელები უკვე მოსპეს. გაზეთები ამართლებენ სიკვდილით დასჯას.

ზომები პრესის წინააღმდეგ. დახურეს გაზეთი „ხაბულ-მატონი“ ისლამის შეურაცხმყოფელი წერილის დასტამბვისათვის. რედაქტორი ჯერ დააპატიმრეს, ხოლო ეხლა გაანთავისუფლეს. სამღვდელოების წარმომადგენელნი, რომელნიც უმაღლეს საბჭოში ღებულობდენ მონაწილეობას, რედაქტორის ჩამოხრჩობას მოითხოვდენ.

რეაქციონერების ჩამოხრჩობის შესახებ. „რ. ს.“-ს კორესპოდენტისათვის მთავრობის ერთ-ერთ წევრს შემდეგი უთქვამს: ცნობილი რეაქციონერები წინანდელი დანაშაულობისათვის კი არ დაისაჯენ სიკვდილით, როგორც ბევრნი ფიქრობენ, არამედ ახალი შეთქმულობისათვის. სიკვდილით დასჯა არ უნდა აიხსნას, როგორც ტერორი მათ წინააღმდეგ. თეირანის აღების შემდეგ ჩვენ გამოვაცხადეთ სრული და საყოველთაო ამნისტია ყველა ძველი რეჟიმის მომხრეთათვის. ისინიც კი გავანთავისუფლეთ, ვინც ხალხის წინააღმდეგ იბრძოდა. არ მიგვიღია არავითარი ზომები, რომ ისინი დროებით მაინც თეირანიდან გაგვეძევებია. შედეგათ ასეთ ჰუმანიურ განკარგულებას ის მოჰყვა, რომ რეაქციონერებმა, შახის ჩამოგდების რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ორგანიზაცია მოაწყვეს, რომლის მიზანი იყო კონტრ-რევოლიუციის მოხდენა. ორგანიზაციის სათავეში შეიხ-ფაზულა დადგა. ამ ორგანიზაციის პირველი კრება მოხდა ღამით, ფაზულის სახლში და გადასწყვიტეს გაგზავნონ დეპუტაცია თურქმენებთან და სხვა ველურ თემებთან, რომ დაითანხმონ ისინი თეირანზე გამოსალაშქრებლათ, აიკლონ გზაზე ყოველივე და თვით თეირანი მახვილსა და ცეცხლს მისცენ. ამ გზით ფიქრობდენ რეაქციონერები უცხოელების საქმეში ჩამორევას. გზაში აქლემის მენახირის ტანსაცმელში გამოწყობილი დაიჭირეს მუზაფერ-მულკი. მან განაცხადა, რომ ის გაგზავნეს ასტრაბადში თურქმენთა შორის საგიტაციოთ. მეორე კრებაზე დაადგინეს მოეკლათ სეპეხდარი და სერდარ ასადი. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა 12 კაცს მიანდვეს. გარდა ამისა ორგანიზაციის ყველა წევრს დაავალეს ეცადონ, რომ მთავრობის წევრთა შორის განხეთქილება ჩამოაგდონ. მესამე და უკანასკნელ კრებაზე შემდეგი დაადგინეს: შეადგინონ თეირანში 500 კაცისაგან შემდგარი ბრბო და შეაიარაღონ ისინი მაუზერებით. ამათ უნდა ჩაეცვათ ქალის ტანისამოსი, პირისახეზე ჩადრი ჩამოეფარებიათ და ამგვარათ, ესარგებლათ ქალის ხელუხლებლობით, შეპარულიყვენ სასახლეში, სადაც მოთავსებულია მინისტრთა საბჭო, ცხოვრობს შახი და დაეწყოთ ხოცვა-ჟლეტა განურჩევლით სქესისა და წოდებისა. რამდენიმე კაცი ამ დროს თავს უნდა დასხმოდა რომელიმე ევროპიელ სახელმწიფოს წარმომადგენელს და თან ქალაქში უნდა გაჩაღებულიყო ევროპიელების ხოცვა-ჟლეტა. ამ ბრბოს მოწყობა მიანდვეს გაზრიეთს, რომელსაც არა ერთხელ შეუდგენია ასეთი ბრბო რევოლიუციის დროს. როცა წესიერება დამყარდა, ბევრმა ხულიგანმა იარაღი ჩაგვაბარა, ხოლო უმეტესობამ ჰებში და მიწებში ჩამარხა. რეაქციონერების ყველა ამ კრებებზე მთავრობის აგენტიც ესწრებოდა, რის წყალობით ყველანი დააპატიმრეს და უმაღლეს სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

აი, რამ გამოიწვია სახრჩობელების აღმართვის საჭიროება. თუ აუცილებლობა არა, დარწმუნდით, რომ ჩვენც ისეთივე ზიზღით შევყურებთ სიკვდილით დასჯას, როგორც ყველა განათლებული და კულტურული პირი.

ოსმალეთი

ბერძნების შევიწროება. სალონიკიდან იუწყებიან, რომ მთავრობა სასტიკით ავიწროვებს მაკედონელ ბერძნებს. ბერძნები სტოვებენ სოფლებს, იარაღს ისხავენ და მთებში გადიან.

სამხედრო მინისტრის განცხადება. სამხედრო მინისტრმა განუცხადა საბერძნეთის საელჩოს ატაშეს, რომ საბერძნეთის საზღვრებზე სამხედრო მზადება მიმართულია ბერძნების „ბანდის“ წინააღმდეგ და არა კუნძულ კრიტოსისკენო.

უკმაყოფილება მაკედონიაში. მაკედონიის მუსულმანთა შორის დიდი უკმაყოფილება გაისმის კრიტოსის შესახებ. ისინი რწმუნდებიან, რომ კუნძული სამუდამოთ დაიკარგა ოსმალეთისთვის.

აფიცრების დატუსაღება. სალონიკის ვილაეტში დააპატიმრეს რამდენიმე გადაცმული ბერძნების აფიცერი. ხელში ჩაიგდეს 215 ვინტოვკა და 9,000 პატრონი. თოფები საბერძნეთიდან მოაქვთ.

მთავრობის განკარგულება. მთავრობამ დეპეშით სთხოვა კრიტოსზე მცხოვრებ მუსულმანებს, რომ სამშობლოს სიყვარულის გულისათვის ნუ მოშორდებიან კუნძულს.

რუსეთი.

ხულიგანების თარეში. „ჰეშ. რუს. კავშ.“ წევრთა ჯგუფი ნიკოლაევში თავს დაესხა მოსეირნე ხალხს და ცემა დაუწყო. პოლიცია დროზე მოვიდა და გარეკა. ოთხი მათგანი დააპატიმრეს.

ჯარის დაბრუნება. ოდესაში მოვიდენ კუნძულ კრიტოსზე მდგომი ჯარები. ჯარს შეეგება ქალაქის და სხვა დაწესებულების დეპუტაცია. ყველა გემზე ბაირაღები აჰკიდეს. დაბრუნებული ჯარი ამბობს, რომ როგორც კი გამოვედით კუნძულიდან, ბერძნებმა თავისი ბაირაღები ააფრიალესო.

საინტენდანტო პანამა. სენ. გარინის რევიზიის მიერ გამოაშკარავებულ ბოროტ-მოქმედებისათვის საინტენდანტოს ცხრა გენერლის პასუხისგებაში მიცემას ფიქრობენ.

ხმები ამნისტიის შესახებ. „ბერტაგ.“ ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ როგორც ხმებია, რუსეთის მთავრობა ახლო მომავალში პოლიტიკურ საქმეებზე დასჯილთათვის ამნისტიას გამოაცხადებსო.

ლოპუხინის გაგზავნა. განაჩენი ლოპუხინის შესახებ გადაეცა საგუბერნიო გამგეობას სისრულეში მოსაყვანათ. ლოპუხინს მალე ეტაპით გაგზავნიან. ხმები დადის, რომ ლოპუხინმა ხელმწიფეს პატიების თხოვნა მიართვაო.

საზღვარ-გარეთ

რევოლიუცია ისპანიაში. სულიერი განწყობილება ბარსელონაში გაზეთების სიტყვით მეტათ დაეცა. შიშობენ, რომ მომხდარი ამბები ისევ განმეორდებაო. ბრძოლა ქუჩებში ექვსი დღე გაგრძელდა. მოპირდაპირენი შეუბრალებლათ ჟლეტენ ერთმანეთს. ბერლინის დიპლომატების აზრით დინასტიის მდგომარეობა იმდენათ კრიტიკულია, რომ კატასტროფას ვერავითარი ლიბერალური ზომები ვერ შეაჩერებს. კატალონიის მდგომარეობა საბოლოოთ გამოირკვევა ისპანიის მუშების ცნობილ ბელად ლერუს მოსვლის შემდეგ. ლერუ ამ ჟამათ გზაშია. ის სამხრეთ-ამერიკიდან ისპანიაში მიდის. ლერუს ქ. ბარსელონას დეპუტატია. მეტათ განვითარებული და შესანიშნავი ორატორი. მან თავისი ხარჯით ააგო ბარცელონაში ვეებერთელა „სახალხო სახლი“. ამ სახალხო სახლში მოთავსებულია სკოლა, თეატრი, ბიბლიოთეკა, კლინიკა და რესტორანი. ლერუს დიდი ავტორიტეტი აქვს ქალაქის მუშათა შორის. გაზეთ „მატენის“ სიტყვით ბარცელონის მუშები მოუთმენლათ მოელიან მას. მუშების აწინდელი მოქმედებაზე დიდი გავლენა ექნება ლერუს აზრს და რჩევას.

ფიგუერასში მომხდარ ამბებიდან. „მატენი“ შემდეგს გადმოგვცემს ფიგუ-

რესში (ისპანიაში) მომხდარ ამბების შესახებ. როგორც ქალაქში საერთო გაფიცვა გამოცხადდა, მუშები თავის ცოლშვილით სადგურზე მივიდნენ, ბაქანი დაიჭირეს, ქვისაგან ააგეს ბარიკადები, გააფუჭეს ისარები და სანიშნოები და ამ რიგათ, შესწყვიტეს მატარებლის მოძრაობა. ტელეგრაფის მავთულები გადასჭრეს და მით ჯარის უფროსს საშველება წაართვეს მაშველი ჯარი მოეთხოვა. ჯარის მხლებ პოლკოვნიკს ქვები დაუშინეს, ცხენიდან ჩამოაგდეს და კინაღამ მოჰკლეს. სალდათებს ხელიდან თოფებს ართმევდენ და მათვე ესროდენ. გლეხებმა სელვაში თავიანთი შვილები, რომლებიც ჯარში გაიწვიეს, სახლებში ჩაჰკეტეს და სახლის სიახლოვეს ჟანდარმების არ უშვებდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლვერით ემუქრებოდენ, „ჩვენ არ გვსურს რომ ჩვენი შვილები ძაღლივით ამოხოცონ სხვების სიამოვნებისათვისო". —ამბობდენ გლეხები. სელვაში გლეხებმა ჟანდარმებს იარაღი აჰყარეს და ციხეში ჩასვეს. სათადარიგო ჯარის კაცნი ასობით მიდიან ხმელეთით და ზღვით საფრანგეთში.

მონასტრების განადგურება. „დეილ. ტელეგრ." სწერს: ბარცელონაში მონასტრების აკლების დროს მრავალი მღვდლები და ბერ-მონაზნები დაიღუპნენ. ერთ მონასტერს გარს შემოერტყა ბრბო და რამდენიმე ათ მღვდელს და მონაზნებს ყელები დასჭრეს საკურთხეველში. ბრბო ნებას არ აძლევდა „წითელი ჯვრის" რაზმს მონასტერში შესულიყო. მონაზნები პირდაპირ ცეცხლში ცვიოდენ და იღუპებოდენ. არავინ მათ დახმარებას არ უწევდა. ერთ საათში 120 მეტი ბერ-მონაზონი მოჰკლეს და 300 მეტი დასჭრეს. „წითელი ჯვრის" რაზმი თავგანწირულად მუშაობდა. 10,000 მეტი რევოლიუციონერი ქუჩაში დადიოდა და მარსელიოზას მღეროდა. იქვე ახლო გენერალი იდგა თავისი ჯარით, მარა სროლას ვერ ბედავდა. ბარცელონის ქუჩები რამდენიმე დღის განმავლობაში გვამებით იყო მოფენილი.

რა ხდება მაროკოში. მელილიაში ხელ-ახალი შეტაკება მოხდა. გაზეთების სიტყვით, ამ ბრძოლაში ისპანელებმა ჰაერში საფრენი „შარები" იხმარეს.

ინგლისის პრესის აზრი. ინგლისის პრესის უმეტესობა სკეპტიკურათ უყურებს ისპანიის გამარჯვებას მაროკოში და ფიქრობს, რომ ისპანიას ის ბედი ეწევა აქ, რაც იტალიას აბისინიასთან ბრძოლის დროსო. თუ რამდენათ არა პოპულიარულია ხალხში მაროკოს ავანტიურა, ამას ამტკიცებს სხვათა შორის ფართო დეზერტირობაც. ქ. ფიგუეროსში 600 სათადარიგო ჯარის-კაცთაგან მხოლოთ 7 გამოცხადდა. „მატენი" შენიშნავს, რომ მელილიაში ბრძოლის დროს დაიღუპა აფიცერთა ძალიან დიდი პროცენტიო. ასეთ მოვლენას გაზეთები იმით ხსნიან, რომ ისპანიის აფიცრები მარტო მაროკოელების ტყვიის მსხვერპლი როდი ხდებიან, არამედ თავისი სალდათების ტყვიისაცო...

ახალი ამბები

დაპატიმრება. პოლიციამ ცნობები მიიღო იმის შესახებ, რომ პოლიციელი ბერსტოვოის მოკვლაში ვინმე მამედ-ალი-ჰუსეინ ოღლის ვინმე არშაკ ყაზაროვს და ფარსეგ მურადოვს უღევს წილიო. ამასთან ამ საქმეში მონაწილე არიან სხვა უცნობებიც, რომელთაც პოლიცია დღესაც დაეძებს. პოლიცია ეძებდა ყაზაროვსა და მურადოვს. ესენი დაპატიმრებულ იქმნენ ერთ ტრაქტირში კრუზენშტერის ქუჩაზე. ნახევარი საათის შემდეგ დააპატიმრეს ამათი ამხანაგი მელიქ—თათევოსიანცი. იგი გაჩხრიკეს, მაგრამ თან ვერაფერი აღმოუჩინეს. ბინაზე კი, შემახინის ქუჩაზე, ყაზაროვს უნახეს „ბრაუნინგის" რევოლვერის 50 პატრონა, ხოლო მურადოვს—არა-ლეგალური პარტიის წევრთა სამი ფოტოგრაფიული სურათი მელიქ-თათევოსიანს კი მაიდანის შესახვევში ბინაზე უნახეს სხვადასხვა მიწერ-მოწერა. ყაზაროვს მეორე ბინაზე „ნავთლუღის" სადგურზე ერთ საწყობის შენობაში იპოვეს სამი რევოლვერი „ბრაუნინგის" სისტემისა 7 ტყვიით გატენილი და ერთი ბებუთი.

◆ **ეკლესის მძარცველნი.** თფილისის საოლქო სასამართლოში პარასკევს, 24 ივლისს გაირჩა იოსებ პატარაძისა, გიორგი აღნიაშვილისა და ივანე ონიაშვილის საქმე. ამათ ბრალდებოდათ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიიდან ნივთების მოპარვა. სასამართლომ სამივე დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა—ყოველივე ღირსების ახდა და კატორგა: აღნიაშვილს 6 წლით, ონიაშვილს და პატარაძეს 4 წლით. სასამართლოში პატარაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი, ონიაშვილს ნაფიცი ვექ. ყარაევი აღნიაშვილი თითონ იცავდა თავის თავს.

◆ **ნავთის მადანი გურიაში.** როგორც გაზეთი „კასპი" გადმოგვცემს, ინგლისისა და ბელგიიის ამხანაგობათა წარმომადგენლებს უკვე დაუსრულებიათ სოფ. სამთოში (გურია) ნავთიან ადგილების გამოკვლევა. მწარმოებელთ სასარგებლოთ სცნეს მხოლოთ 6 მამულის ექსპლოატაცია, თვითეული მამული 80-დან 175 ოთხ-კუთხედ საჟენამდე შეიცავს. ამათში ორი მამული თავ. დადიანებს ეკუთვნით. ამ მამულების ექსპლოტაცია ბელგიის ამხანაგობამ განიზრახა, რომელსაც მთავარი საწარმოვო ცენტრი ყუბანის ოლქში აქვს. რამდენიმე წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა ყუბანის ოლქში, რომ ბელგიის საზოგადოებას პირობები შეატყობინოს, თუ პირობები მიღებულ იქნა, იმ შემთხვევაში მუშაობას აგვისტოდან შეუდგებიან.

◆ **სამეცნიერო მიზნით** სვანეთში გაემგზავრა მიუნხენის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი არნოლდი. მას თან ახლავს კიდევ ორი სხვა. ამათ უნდათ სვანეთში მცენარეთა ცხოვრება გამოიკვლიონ.

◆ **ტუსაღთა განთავისუფლება.** მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ა. მატინიანცი და ა. შახბაზიანი, რომელთაც საიდუმლო პარტიის წევრობას აბრალებდენ.

◆ **ადმინისტრატიულათ გადასახლებულის დაპატიმრება.** თფილისში პოლიციამ დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატორის საზღვრებიდან ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და თავისი ნებით ისევ უკან დაბრუნებული ივანე შენგელია. მას პასუხისგებაში აძლევენ.

◆ **სასამართლო.** 23 ივლისს თფილისის სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩა ოგანეზოვის, სუხნიაშვილის, გეორგელაშვილის, ციმაკაშვილის და აგანეჯანაშვილის საქმე. მათ ბრალდათ ედებოდათ, რომ ვაჭარ ბერიევს წერილებს სწერდენ, ფულს სთხოვდენ და სიკვდილით ემუქრებოდენ. 13 აპრილს პოლიცია მათ მეტეხის ბაღში თავს დაესხა და დაიჭირა იმ დროს, როდესაც ერთი იმათგანი ბერიევს ფულს სთხოვდა. ეს დანაშაულობა აღნიშნულია სისხლის სამართლის დებულების 1545 მუხლში. ბრალდებულებს იცავდა იგ. კაზუხოვი.

სასამართლომ ოგანეზოვს 2 წლის და 8 თვის კატორღა მიუსაჯა, დანარჩენები კი გაამართლა. პროკურორს უმაღლეს სამხედრო სასამართლოში გადააქვს ეს საქმე.

◆ **ხმოსნები.** დუშეთის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნებათ ამორჩეულ იქნენ: ნ. ბარათაშვილი, ი. ჭონქაძე, ა. მარტიროზოვი, გ. კორინთელი, გ. აპრიასოვ, ს. ამირაგოვი, ზ. დადაქოვი, ი. ჭორგოლოვი, გ. ყარიბოვი, ნ. თობარიძე, ს. ბარათაშვილი და ვ. ტუხაშვილი. კანდიდატებათ: გ. ტროიანსკი, ა. ბარტოვი, ვ. ყარანგოზოვი, ი. როინოვი და გ. ოსეფოვი.

◆ **სემინარიის ძველი შენობა.** სემინარიის გამგეობაში წინადადება შემოვიდა ერთი პირისაგან, რომელიც თხოულობს დაუთმოს სემინარიის შენობა მასში სავაჭროთვის მოსათავსებლათ, მეორესაგან წინადადება შემოვიდა დაუთმოს სასწავლებლის მოსათავსებლათ. სემინარიის გამგეობა წინადადებას იძლევა პუშკინის ქუჩიდან სემინარია ცალკე მაღაზიებათ გააქიროვოს, სანამ საბოლოოთ არ გადაწყდება მისი ბედ-იღბალი. ახალი სემინარია უკვე დასრულებულია. მასში 200 კაცისთვის პანსიონია დამზადებული. წლიური ფასი პანსიონერისთვის —150 მანეთია („თფ. ფ.")

პროვინციის ქრონიკა

ფოთი. სამშაბათს, 31 ივლისს უნდა შემდგარიყო ქალაქის საბჭოს სხდომა, (გაგრძელება მორიგი სხდომის), მაგრამ ხმოსნების საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

— ადგილობრივ ქალაქის გამგეობაში ზოგიერთ ვაჭრებს და მწარმოებლებს განცხადება შეუტანიათ, სადაც ამბობენ, რომ რუსის სანავთსნო საზოგადოების გამგეობა უკვე გვახდევინებს ქალაქ ფოთის სასარგებლოთ ნახ. კაპეიკს საქონელზეო. ამის გამო ქალაქის თავმა ნ. ნიკოლაძემ მისწერა რუსის სანავთსნო საზოგადოების გამგეობას, რომ შეაჩერონ ½ კაპ. ქალაქის სასარგებლოთ გადახდევინება, რადგან უმაღლეს 24 მაისს 1909 წელს გამოცემულ დებულების თანახმად, ქალაქს სასარგებლოდ ½ კ. გადახდევინება შეიძლება მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ქალაქის საბჭო შეიმუშავებს ტარიფს და სამინისტროები დაამტკიცებს. ამგვარათ, სანამ ფოთის საბჭოს ასეთი ტარიფი არ გამოუმუშავებია, ½ კ. საქონელზე გადახდევინება შეჩერებულ იქნას.

— ანტისანიტარული მდგომარეობა ქალაქისა უმაღლეს წერტილამდე ავიდა. მთავარ ქუჩებში აყარებული ნეხვი და სიბინძურეა. ქალაქის ტრამვაის ცხენების სიბინძურე, მოიჯარადრეთ გამოაქვთ და ყრიან ქუჩებში. ამას დაერთო კიდევ ერთი გარემოება. ჭალადიდში, სირიაჩქონში და სხვ. რიონის პირათ მდებარე სოფლებში გაჩენილა საქონლის ჭირი. დახოცილ ცხოველებს, კამეჩებს, ხარებს, ძროხებს და ცხენებს ხსენებულ ადგილთა მცხოვრებნი ყრიან მდინარეში. რიონი კი ფოთელებს უხვად უმასპინძლდება ცხოველების ლეშით. საზაფხულო საკრებული დარბაზთან (ზღვის პირად) გავლა შეუძლებელია გახრწნილ ცხოველთა მოწამლულ სუნის გამო. ცხოველების გვამები გარიყულია ზღვაზე „საბანაოსთან". ჰაერი სულ მოიწამლა მძორის სუნით. ამბობენ, ყულევშიაც გაჩენილა საქონლის ჭირი, იქაც ყრიან ზღვაში და აქ მოაქვსო, საჭიროა ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღოს ანტისანიტარული მდგომარეობის წინააღმდეგ.

— ქალაქის გამგეობამ იმის გამო, რომ რიონს დახოცილ ცხოველთა გვამები მოაქვს, გაგზავნა რიონის პირად მდებარე სოფლებში გამგეობის წევრი ლ. მ. ურუაშვილი გასაგებათ. ურუაშვილმა მოახსენა გამგეობას, რომ ჭალადიდსა და ახლო-მახლო სოფლებში მართლა მძვინვარებს საქონლის ჭირი. უმთავრესად „ქურთული".

— 18 ივლისს, შაბათს, ცოტა ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა ბუფეტის მოსამსახურე კალისტრე კიღურაძე. განსვენებული კალისტრე ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ცხრამეტი წლის. ის ერთი შეგნებული ახალგაზრდათაგანი იყო. მას კარგი გავლენა ქონდა მის ამხანაგებში, და საზოგადოთ, რკინის-გზის მუშებში. განსვენებულს შესაფერი პატივი სცეს: კვირას, 19 ივლისს გაასვენეს ს. ხიდისთავში. კუბოს რამდენიმე გვირგვინი ამშვენებდა.

— არა ერთხელ აღგვინიშნავს ის „სადათის ძილი", რომლითაც მოცულია აქაური განმანათლებელი საზოგადოების გამგეობა. ეხლა მუშები ბლომათ ჩაეწერენ წევრებათ განმანათლებელ საზოგადოებაში და მის გამგეობას მოთხოვენ ლექციებს თუ ვერ ახერხებენ, იმათვის ბინა და წერა-კითხვა მაინც ასწავლეთ. ამ მოთხოვნას გაუწია გამგეობამ ანგარიში და ის ახლო მომავალში შეუდგება მოქმედებას. საჭიროა რაც შეიძლება მეტი წევრების ჩაწერა, რომ მათ აამოქმედონ „მცოდნე ელემენტები".

— მოსკოვის ცნობილ ფირმის ძმ. სტოლიაროვებმა აქ გააშენეს დიდი ხე-ტყის ქარხანა, რომლის ამუშავებას ამ დღეებში მოელოდენ, მაგრამ სამწუხაროთ ჯერ ის არ ამუშავებულა. მიზეზათ ასახელებენ იმ გარემოებას, რომ სახერხი ხეები, მუხურის ტყიდან, ძნელი ჩამოსატანი დარჩათ. შესაძლებელია, როგორც ხმები დადის ქარხანა სულ დაიკეტოს.

— დაჭერილ ხერხის ქარხნის მუშების მანწკავას, კუპრაძის და როყვას საქმე, ჯერ კიდევ გამოძიებაშია. გუბერნატორს ადგილობრივ პოლიცმეისტერისთვის გამოძიებისთვის 1 თვის ვადა მიუცია.

პატარა ფელეტონი

ნახული და გაგონილი.

ადამ რომ იუნკრათ იყო, მერე ასეთი სიცხე არ ყოფილაო—ამბობენ მოხუცნი.

მზე შეუბრალებლათ ხრაკავს ყოველივეს. სულის მოთქმა სჭირდება. ჰაერი თითქო გასქელდა, მოძრაობა შესწყვიტა. ოფლში ვსცურავ. თმა სოველ შუბლზე მიმეკრა. სოველ თმას ქუდი თითქო დაეწეპა. კრახმალის საყელო ფლამუშს დაემსგავსა. ქუჩებში მტვერის ბული ბოძივით სდგას და ყურებში, ცხვირში, თვალში და პირში მიცვივა. ოთახში ხომ კიდევ უარესია.

გიჟივით გარეთ გამოვარდი და ცოფიანივით გავიქეცი. თითონ არ ვიცი საით მივრბივარ. პირველ კონკაზე შევხტი. უეცრათ კონდოქტორს ფეხი დავადგი. ერთი ლოთიანათ დამაგინა და კინაღამ თავში ბილეთების კონა მთხლიშა. ძალიან მეწყინა.

მუშა და დედის გინება.....

მკბენარე მზე არც კონკაზე მასვენებს. ფარმაცევტთა ამხანაგობის აფთიაქის წინ ვიღაც ჭაბუკი, ნუნუათი გაჟღენთილი კონკას წინ გადაელობა და გოგრებს ქვეშ ქუდი შეაგდო. უეცრათ ყვირილი მოისმა: არიქა, ჟურნალისტი იღუპებაო! ვიცანი ვინც იყო, მარა ვერ მივბედე. ვინ იცის რა მოხდება. სამხედრო წესები ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ. ვაი თუ მოწმეთ დამასახელონ-თქო. მოწმობას ვინ ჩივა, იქნებ მოკვლის განზრახვაც შემწამონ და მოდი ისიამოვნე სახრჩობელაზე ქანაობით. ჩამოვხტი კონკიდან და პროსპექტით ქვევით მოვკურცხლე.

გზაში ვიღაცას მხარი გავჰკარი. გავიხედე და შიშის ჟრუანტელმა ელექტრონივით სხეულში გამირბინა. აფიცერი იყო.

„На пару словъ"—მომაძახა. ვიგრძენი რას ნიშნავს ეს სიტყვები. ორბელიანი გაგონილი მქონდა და შეშინებულმა ნაბიჯს ვუმატე.

გადავწყვიტე ლაღიძესთან შესვლა. წყლით გულის გაგრილება და გამშრალი ნერწყვის გასველება, მარა ჯიბეში ორი შაურის მეტი არ აღმოჩნდა. ეს კი არ კმაროდა. კარებთან მოსამსახურე ხელგაწვდილი სდგას და სანამ შაურს არ უჩვენებ, წყლის წვეთსაც ვერ იგემებ. კარებთან ისე რაქველი შემეფეთა. ზურგზე დიდი აფიშა ეკრა და რაც ძალი და ღონე აქვს გაჰყვიროდა: გრანდიოზული მამულიშვილური ჭიდაობაო. შევჩერდი. ცოტა იქით, ქვაფენილზე ვიღაც ჯეელი ჭაბუკი იდგა. პიჯაკი გაეძრო. შლიაპა ძირს დაედო. პერანგის ამარას სახელოები დაეკაპიწებია, ხელები წელზე შემოედგა, მარჯვენა ფეხი წინ გადაედგა და რაინდული თავმომწონეობით „თფილისის ფურცლის" რედაქციისკენ იცქირებოდა და თავის კანტურით მოჭიდავეს ითხოვდა. ვკითხე ჭაბუკის ვინაობა და მისი პოზის მნიშვნელობა.

— ეს თავადი ამირეჯიბია. ხეჩატუროვს მოელის და დიდი უფასო ჭიდაობა იქნებაო. მინდოდა მეთქვა: კაცო, გიორგი! რა დროს ჭიდაობაა, რატომ დაივიწყე: ერთ კვირაში ამილახვარის საქმე უნდა გაგეთავებია მეთქი, მარა მისმა გამომეტყველებამ ძალიან შემაშინა, იმწამსვე გავსცილდი და ქვევით გავწიე.

თეატრის გამოსავალ კარებთან ვიღაც ქალი წივილ-კივილით პირდაპირ ჩემსკენ მირბოდა, და „დამეხმარეთ"-ჰკიოდა. უკან ვიღაც „ჯენტლემენი" მოსდევდა და ისეთი უწმაწური სიტყვებით აგინებდა, რომ ვაჟკაცათ რომ ვარგოდე..... გამოირკვა, რომ ქალი არტ გაბუნია-ცაგარლისა იყო, ხოლო „ჯენტლუმენი"—ნანობაშვილი. ქალის დედის გინება ძალიან მეოცა და გაკვირვებულმა სათავად-აზნაურო ბაღში შევუხვიე.

ბაღის კარებთან, ქვაზე ვიღაც ყმაწვილი ჩამომჯდარიყო, ყბაზე ხელი მოეჭირებია და გულ-ამოსკვნილი ქვითინით—ნენა, ნენაო—იძახდა. ვკითხე ტირილის მიზეზი და მითხრეს, რომ ვიღაც კნეინას სილა გაერტყა. შემეცოდა. მინდოდა მეკითხა კნეინასათვის თუ რისთვის აატირა ბავშვი, მარა ისეთი შემომიბღვირა, რომ ქუდ-მოგლეჯილი ერევნის მოედნისკენ გავიქეცი.

ერევნის მოედანზე, ვიღაც ჩასუქებულ გვამს, იღლიაში რაღაც ამოედო და „ზაკავკაზიეს" რედაქციისკენ მიარბენინებდა. უკან ყმაწვილი მოსდევდა და არ გაუშვათო ყვიროდა. კიდევ ხათაბალა რა მარცხათ გადმოვიარე სახლიდან. ყმაწვილი ჩასუქებულ გვამს რედაქციის კიბეზე დაეწია. შეიქნა ბურხლი. რაღაცას აქეთ-იქით ეწევიან. არა ვერ მოგცემ, არა, უნდა მომცე—ყვირიან. ახლო მიველი, ვნახე, რომ ჩასუქებულ გვამს „ოტისკი" მოეპარა ყმაწვილისათვის და „ზაკავკ" რედაქციაში ბუკინისტთან მიჰქონდა. ხმაურობაზე რედაქციიდან ვიღაც რიყა კაცი გამოვარდა და „ოტისკის" ჩაჯიბვა მოინდომა, მარა откуда ни возмись თითქო მიწიდან ამოძვრაო კ. თუმანოვი გაჩნდა. დასტაცა „ოტისკს" ხელი და ზევით გაარბენია. მთელი ჯგუფი დაედევნა. „გოროდოვოიმ" „სვისტოკი" დაჰკრა. შევშინდი და სიონისაკენ გავსწიე.

სიონის კარებთან ხატისოვს დაეჩოქა, ხატისთვის საკეჟნიანი სანთელი დაენთო, მეტანიას აკეთებდა და ღმერთს რაღაცას ევედრებოდა.

— ეს ღმერთს ვევედრები ყოველ შაბათს, რომ ჩერქეზიშვილი (ქალაქის თავი) მალე დაბრუნდეს და სამსახურს შეუდგეს.

— არ დაუჯერო! თვალის ჩაქნევით ჩამილაპარაკა [illegible].

ვერ მივხვდი ვინ ამბობდა მართალს და ქვევით გავეშურე.

რაღაც ეშმაკათ ქართველთა გამომ. ამხ. სტამბაში შევუხვიე. მაგიდასთან დამწვარი გურულების ჭირისუფალი ბ. ჯაბადარი იჯდა და ფონდის და დამწვრების ფულს ანგარიშობდა. შემეხარბა. ნეტავი მეც დამწვარი ვიყო მეთქი—ვინატრე. სულელი. დამავიწყდა, რომ მე მაინც არაფერი, მხვდებოდა, რადგან, როგორც დამწვარი ჩემი ხვედრი ჯაბადარისათვის უნდა მიმერთმია. შევშინდი. ვაი თუ მეც ფონდისთვის შეწირული ვეგონო და ჩამყლინწოს თქვა და ხიდისკენ გავქანდი.

ხიდთან, ცივ წყალში ნაბანევი კ. ნ. ნაკაშიძისა შემხვდა. ხელში ქოლგა ეჭირა, გახარებული, სიცილ-კასკასით ზევით მირბოდა. ჯ—დარიდან დამწვრების ფული მივიღე, მიმაქვს და მიმიხარიაო—მიიმღეროდა მაყრულ კილოზე. კაცო, ნინა, რამდენი, როდის, ვის გადაეცი, მითხარი შენი ღვთის გულისათვის. მარა-ა-ა-ა, შენც არ მომიკვდე. რამდენი არ ვეხვეწე, მარა არ მითხრა და არა! ეხლაც არ იცის კაცმა მართლა მიიღო თუ არა! ან ვის გადასცა. მოვშორდი და გაღმა გავედი.

ვორონცოვის ძეგლთან ვიღაც ყმაწვილი შემეფეთა. სიხარულისაგან ენა დაბმოდა. რაღაც წითელი ქაღალდის კუდი წამომიჩვენა და ენა დაბმულივით რაღაცას ლუღლუღებდა: ხაჩ... ხაჩ... ხაჩ...—ამის მეტი ვერაფერი გავარჩიე.

ღმერთო, ეს რა გიჟებს წავაწყდი! გადავწყვიტე თფილისიდან გასვლა. სადგურს მივაშურე; მინდოდა მატარებელს გავყოლოდი. მეც არ ვიცოდი სად.

მივედი თუ არა, ქუთაისიდან მატარებელიც მოვიდა. ისიც იყო ბილეთი უნდა ამეღო, გავიხედე და რას ნახავ! მატარებლიდან თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი რაინდი ჩამოვიდა. აქეთ-იქით ყანწები გადაეკიდა. ხელში დიდი სირმით გაწყობილი გუდის დროშა ეჭირა წარწერით: „ძირს ფურცელაძე. გაუმარჯოს „ნიშადურს". აქეთ-იქით ორი რწყილივით მოყვანილი ვაჟ-კაცი ედგა. ერთს ხელში მაროკკოდან მოტანილი შუბი ეჭირა. მეორეს ჩაქურა ეცვა, წელში ხელთოფელა გაერჭო, ქამარზე უტარო დანა ჩამოეკიდა. პირველი ამოჩნდა თომა პუსა, ხოლო მეორე—ტიტე ნიგოითელი. თვით რაინდი თქვენი კარგათ ნაცნობი—ღუნია.

რაღა სამალავია, ძალიან შემეშინდა და სადგურიდან გავიპარე. გადავწყვიტე აწი დღისით არსად წავიდე.

ვნახოთ! იქნებ ღამით სიარულმა აჯობოს..

ზინა.

სწავლების საქმე სოფლის შკოლებში

ყველასათვის ცნობილია, რომ მთელ რუსეთში და კერძოთ ჩვენ სოფლის შკოლებში სწავლის საქმე არა სასურველ ნიადაგზე იყო დაყენებული. თავის მიზანს: ბავშვების სათანადო აღზრდა ვერას დროს ვერ აღწევდა და სწავლის მაგივრათ მოსწავლენი „წვალებას" განიცდიდენ?..

განვლო ხანმა... რუსეთის პოლიტიკური და სოციალური წყობილება ერთიანათ გაუმჯობესებისაკენ მიიმართა, საზოგადოებრივ ძალებს ფართო სამოქმედო ნიადაგი მოეპოვა. ამ ხან-მოკლე მომენტში, განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, მოხდა: „Переоцѣнка всѣхъ цѣнностей".

ყველა არა ნორმალურ პირობების უკუგდებას შეეცადა ხალხი და ამ აზვავებული მოძრაობის მძლავრი ტალღა ჩვენ შკოლებშიაც შეიჭრა. წლობით ძილს მიცემული მასწავლებლები ტოროლასავით შეფრთხიალდენ. თვალები დაიფშვნიტეს, შკოლების განკარგებას ხელი მოჰკიდეს. მასწავლებელთა და რამდენიმეთ მოსწავლეთა მკვეთრმა ენერგიამ, საზოგადო განწყობილებით აღფრთოვანებულთა, ურთი-ერთ შორის იდეიური კავშირი შეკრეს, პირველთა და მეორეს შორის „ჩატეხილი ხიდის" გამრთელებას შეეცადენ.

ყოველი კეთილ-სინდისიერი მასწავლებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით თავის მოვალეობათ სთვლიდა, არსებული შეხუთავი ატმოსფერა ოდნავათ გაეწმინდა, შკოლების სრული რეორგანიზაცია მოეხდინა...

ასეთ მასწავლებელთა მიერ დაარსებულმა კავშირებმა, რომელშიაც უმრავლესობა ჩათრეულიყო, მათ მიერ პედაგოგიური ახალ პროგრამების შემუშავებამ, დაუსვენებელმა ფუსფუსმა ნაყოფი გამოიღო: 1, გარუსების პოლიტიკა და ცნობილი ლევიცკის, „უკაცრავათ პასუხია“ პედაგოგიური მუნჯური მეთოდი ერთიანათ უარყოფილ იქნა, სამშობლო ენის სწავლებამ მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა და აღზრდის საქმე თვალსაჩინოთ წინ წავიდა. 2. მათმა დაუდგრომელმა პროტესტმა უმაღლესი სამოსწავლო ადმინისტრაცია ძალდატანებით აიძულა კომპრომისზე წასულიყო.

ამ სახით „ზევიდან“ შკოლებს ებოძა 81 წლების სამოსწავლო პროგრამა სახელმძღვანელოთ.

თუმცა ამ უკანასკნელს არსებითად, შინაარსის მხრით არაფერი სახარბიელო აქვს, მაგრამ ისიც ყოჩაღობაა „ყვავს კაკალი გააგდებიო“ ნეტარება დიდხანს ვის შერჩენია! ტკბილი წამები საოცნებოთ გადაიქცეე, შესანიშნავი მომენტი დროებით სანატრელ მოსაგონრათ ისტორიას გადაეცა. შავ ბურუსით შემოსილმა რეაქციამ, რომელმაც საზოგადოებრივი მაჯის ცემა დაადუმა, მისი ტლანქი გამანადგურებელი მოქმედება ჩვენ შკოლებსაც შეეხო და მოშხამულმა სიომ მასწავლებლებიც, ეს უწინდელი „რაინდები“ თავის ბანაკში ჩარეკა. შემუშავებული პროგრამები არქივს მიეცა, ათას გვარი უწინ გამეფებული კავშირები სასაცილოდ გადაიქცა და შკოლაში ისევ არანორმალური პირობები გამეფდა.

ამ ცვლილებების მიზეზი საზოგადო რეაქციონურ განწყობილებაში უნდა ვეძიოთ; ეს ცხადია! მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი ამ კონტრასტულ გამოცვლისა, რომელზედაც მე დღეს საუბარი მაქვს და აი რა: პროგრესიულ მასწავლებელთა ცდამ, მათმა ძალამ შექმნა ახალი პროგრამები და მათ დაუბრუნეს შკოლას თავისი სახე. სწორედ ეს მკვიდრი ძალა გამოეცალა სწავლის საქმეს. ზოგი დაითხოვეს ადგილიდან, ზოგიც გადაასახლეს, და საქმეც უკუღმა წავიდა.

მოძრაობის დროს იძულებით „ზიარებულმა“ მასწავლებლებმა რეაქციის დროს მიივიწყეს მათი დანიშნულება, დაღმართისკენ დაექანენ და სამსახურში დაწინაურების სურვილით მოწყურებულებმა თავისი უწინდელი საქმე უკუაგდეს.

არამც თუ ძალით მოპოვებული უფლებები ჩააფუჩეს, არამედ „ნაწყალობებ“ 81-იან წლების სამოსწავლო პროგრამასაც ფრთები შეაკვეცეს; ასე რომ, დღეს ჩვენ შკოლებში ისევ ძველებურათ თუთიყუშივით გაზეპირებული სიტყვები „**Два раза два**“ და უაზრო კითხვა რუსული მოთხრობებისა გესმის კაცს. ასჯერ გამეორებული აზრია, რომ ნორმალურად ბავშვის ზნეობრივ, გონებრივსა დ ფიზიკურად აღზდა მაშინ შეიძლება, როცა ის მარტივს, გასაგებს ითვისებს, ადვილიდან ძნელისაკენ, რთულზე გადადის; ეს კი მოსახერხებელია მაშინ, როდესაც მოზარდთა ჩვილი ტვინი სწავლასა და მეცნიერებას მშობლიურს ენაზე ითვისებს: აი სწორედ ეს ყველასათვის ცნობილი აზრი, მთავრობის გულის მოსაგებათ, „კარიერის“ ტრფობით აღგზნებულმა ზოგიერთა მასწავლებლებმა და თითქმის უმრავლესობამ, ჩვენ შკოლებში გააქარწყლეს.

ამგვარათ, მოზარდი თაობა, სწავლის მაგივრათ ჩვენ სოფლის შკოლებში ჯერ ბორძიკობს და საცოდავათ მახინჯდება. მის წყალობით ვერც უცხო, ვერც სამშობლო ენები და ვნრც რომელიმე საგანი ვერ შეუთვისებია და წარმოიდგინეთ, აზროვნება ხელოვნურათ შეფერხებულია.

აქა იქ შეხვდებით შკოლებში, შეგნებულ და ენერგიულ მასწავლებელს, რომელიც შეურყევლათ დგას თავის პედაგოგიურს პოზიციაზე და ეწევა თავის საკუთარის დარწმუნებით ნამდვილ „რაციონალურ“ აღზდის საქმეს, მაგრამ ჯერ ის, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს და ყვავ-ყორანთა ჩხავილი მის ანკარა მოღვაწეობას ჩრდილავს, აქარწყლებს, ან და აიძულებს თავის მოსაზრებით ბავშვების აღზდას გამოეთხოვოს, მექანიკურათ, სხვის ჭახრაკზე, თავის და უნებურათ იმოქმედოს, მდგომარეობას ძალა უნებურათ შეურიგდეს.

საჭიროა ხალხის კანტროლმა, პროგრესიულ მასწავლებელთა და მოწინავე საზოგადოების ენერგიულმა ცდამ ამ გვარი მდგომარეობას ბოლო მოუღოს და საბრალო ჩვენი მოზარდი თაობა, იხსნას გონებრივ, ზნეობრივ და ფიზიკურ დამახინჯებისაგან.

პელო.

კორესპონდენციები

ხონის რაიონი. გლეხების უმეტესობას, სიპინდი შემოელია და იძულებული სიცხისაგან მოხარშული ხილით გამოიკვებოს თავი, რომლიდანაც ათასნაირი ავათმყოფობა ჩნდება. სხვა უბედურებასთან ერთად საშინელი გვალვები დაგვიდგა. გლეხის სარჩო-საბადელი გადამწვარია. მთელი საყანეები რომ დაიარო, ერთს ვერ ნახავ, რომელზედაც შეიძლება ითქვას—ყანა არისო. გადახედავ თუ არა ყანებს ძალა უნებურად გებადება კითხვა: ნუ თუ იგივე მოუსავლობა? აქ გლეხები წყლის არხებით სარხებლობენ, მაგრამ ამაზე მეტია ვსთქვათ რაიმე, რადგანაც მისი ტეხნიკურათ და აგრეთვე სხვა მხრივაც მოუწყობლობის გამო დიდ სარგებლობას ვერ პოულობენ. ამის მიზეზი იყო კიდევაც, რომ ამ დღეებში ქიშპობის დროს ერთი ადამიანი შეიწირა მსხვერპლათ ამ საქმემ.

აბრეშუმობა გათავდა. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველივე ზომები იყო მიღებული წესიერება დაეცვათ სასწორებზე და სხვაფრივაც, მაინც ვხედავთ უსამართლობას, ხონური ხრიკებს, ჩარჩების უპატიოსნო მოქმედებას და სხვა მრავალს. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი დეპეშით იტყობინებოდა: დაუყოვნებლივ აერჩიათ სასწორების კომისია, რაც შესრულებულ იქნა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ უფლებებს მოკლებულნი სასწორების კომისიის წევრნი ვერ შესძლებდენ იმას, რაც მათ მოვალეობას შეადგენდა. პარკში აღებულ ცოტაოდენი გროშის ბედიც არ შეექნა გლეხს უზრუნველ-ყოფილი. საბრალოს ისეც ხონის ჩარჩუკებმა გამოსტაცეს ხელიდან და თავის „უფსკერო„ ჯიბეში გადაუშვეს.

აქ იჩინა თავი ქურდობა-ყაჩაღობამ. საზოგადოების ნაძირალებიც შეუდგენ თავის „სასახელო“ მოქმედებას. ივანდიდში ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა მოჰკლეს გლეხი ტაბიძე, მძიმეთ დასჭრეს მისი ცოლი და წაიღეს ორასი მანეთი. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალენ. მიუხედავათ იმისა, რომ ღანირის საზოგადოებაში დიდი ამბები იყო ქურდების გადასახლების საკითხის დროს, მაინც გრძელდება ქურდობა-ყაჩაღობა. ამ დღეებში მოიპარეს ორი ძროხა, უღლათ ხარები და ერთი ოჯახიდან გაიტანეს ოჯახის წვრილმანი სამკაულები. ყოველივე ეს მოხდა ერთ კვირაში და კიდევ მას შემდეგ, რაც ბ. ბოქაულის თანდასწრებით ფარული კენჭის ყრით დაასახელეს ქურდები. ხალხი საგონებელში ჩავარდა და მიმართეს ბოქაულს თხოვნით. ბოქაულმა არ დააყოვნა და გამოგზავნა „ურიადნიკი“. გლეხები შეიკრიბენ. ის ვაჟბატონები, რომელნიც დასახელებული იყვენ ქურდების რიცხვში, ზოგიერთი გამოცხადდა, რომელთაგან ერთმა ისახელა თავი აშკარა პროვოკაციით. გამოჩნდა თუ არა ის, მორთო ყვირილი: „რა უნდათ ჩვენთან, რას ერჩიან მუშა ხალხს, ჩვენ კი არა, ქურდები ახალ-თაობის ხალხნი არიან, რომლებიც არ მუშაობენ და თავს კარგათ ირჩენენო. აი ეს ვაჟბატონები. ს.-დემოკრატები (მიუთითა იქვე მდგომ სამ ახალგაზრდაზე)იყვენ რომ გაიძახოდენ“ და სხ...ასეთმა აშკარა პროვოკაციამ ხალხი უფრო აამხედრა ქურდების წინააღმდეგ. დადგენილება არავითარი გამოუტანიათ ამის შესახებ. ამ დღეებში ელიან ბოქაულ ფადავას.

საუბედუროთ, კულტურული დაწესებულებები ჩვენში ვერ იკიდებს ფეხს. ხონის თეატრში, სადაც სისტემატიურათ იმართება წარმოდგენები და დრო გამოშვებით ლექციებსაც კითხულობენ, ბილეთების ფასები ისე აწეულია, რომ შეუძლებელია ღარიბ მასსის შეგნებული ნაწილი დაესწროს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

დროებით ხონელი.

მუშათა შორის

ბაქო. ზედმეტი არ იქნება გაგაცნო მკითხველებს ბაქოს ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მოქმედება. 1906 წ. 1 ოქტომბერს ქ. ბაქოში დაარსდა ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი, რომელმაც ხაზეინებთა შორის დიდი აღიაქოთი გამოიწვია. რასაკვირველია, ამათ არ ეპიტნავათ კავშირის სამართლიანი მოთხოვნანი, მაგრამ მალე იძულებული გახდენ დაეთანხმებოდენ და ეცნათ კავშირის არსებობა.

სამი თვის შემდეგ, წვრილ სასტუმრო ნომრების მოსამსახურეებმა ზურგი აქციეს კავშირის სამართლიან მოთხოვნებს და დაიწყეს ისევ ძველ პირობებში მუშაობა. ისინიც ვერ შეეგუენ კავშირის სამართლიან მოთხოვნილებას. კავშირმა მოუპოვა მათ ჯამაგირი და სხვა. მსხვილ სასტუმროების მოსამსახურეები კი მთელი ორი წლის განმავლობაში იხდიდენ საწევრო ფულს კავშირის სასარგებლოთ. პირველათ „გატეხა ხიდი“ სასტ. „ნოვი სვეტში“. აქ მოსამსახურეთ ხელი მიყვეს ისევ ძველ პირობებში მუშაობას, მაგრამ როცა სასტუმროს პატრონმა თავისი სასტუმრო ამხანაგობას გადასცა, მაშინ იკადრა ბ-ნ სიხარულიძემ და ძმებმა მისმა კავშირში მობრძანება და განაცხადეს, რომ სასტუმრო „ნ. ს.“ ამხანაგობის ხელში გადადის. ჩვენ კი გზა-შარაზე დვთის ანაბარა ვრჩებითო“ კავშირმა კარგათ იცოდა რაში იყო საქმე და ამიტომ მოსთხოვა სასტუმროს პატრონს მოსამსახურეთათვის სამი თვის ჯამაგირი. ხაზეინმა ამაზე უარი განაცხადა და დაუმატა: „რადგანაც ისინი ჩემთან უჯამაგიროთ მუშაობდენ, არაფერს ვიძლევიო. ხელიც აქვთ მოწერილიო“. დიდის შრომით და მეცადინეობის შემდეგ ხაზეინმა დაურიგა მათ სამ-სამი თვის ჯამაგირი. რამდენიმე ხნის შემდეგ, უადგილოთ დარჩენილმა სიხარულიძემ დაღვრემილი სახით შემოუთ თავი კავშირში და განაცხადა, რომ მოთავსებულიყო უმუშევართა წრეში, მაგრამ უარი უთხრეს, როგორც შემჩნეულ კაცს და გადასცეს თავისი განცხადებით წარმომადგენელთა კრებას. სიხარულიძე მიღებულ იქნა და დაავალეს არ გაემეორებია ის, რაც წინათ მოიმოქმედა.

სასტუმრო „ევროპაში“ მსახურებდა ი. გაგელიძე, მას ბევრი თვლიდა მოწინავე ამხანაგათ და სიმართლისათვის თავ დადებულათ. ერთ დღეს კავშირში მოვიდა და განაცხადა: „სახლში მივდივარ და ერთი თვის ვადა მომეცითო“. გაგელიძეს ნება მიეცა და მის ადგილზე დროებით გაგზავნეს რ. სიხარულიძე. ერთი თვის შემდეგ, რადგან გაგელიძე არ გამოჩნდა, კავშირმა წინადადება მისცა სიხარულიძეს ადგილი სხვისთვის დაეთმო, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. თურმე ნუ იტყვით, მას გაგელიძესაგან ადგილი ნაყიდი ქონია რამაც ერთი აურ-ზაური გამოიწვია.

ამან გული გაუმაგრა ხაზეინს, რომელმაც აცნობა კავშირს, სიხარულიძეს არ დავითხოვო. ასეთია ზოგიერთი მოსამსახურეების მოქმედება.

გ. ჩიხლაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

განცხადებანი

დაჯილდოვებულია
დიდი **ვერცხ.** და **ოქროს** მედ.
მეტათ კარგი ღირსებისათვის
ნატრო-ლიცევონი წყალი
ზემმელის ძველი ზავოდის

თფილისი, ველიკოკნიაჟ. 40, ტელეფონი 216. საუკეთესო საშუალება კუჭის კატარის და ქვის, თირკმლების, ღვიძლის და შარდის ბუშტის ავათმყოფობის წინააღმდეგ, აქრობს სიმჟავეს, ადნობს და სწმენდავს ქვას და ქვიშას.

ფასი სამკურ. წყ. ბოთ. 18 კ. იქვე **ობერზალცბრუნ., გუნიადი-იანოს, ემსკის** და აგრეთვე **სელტერსკი, სოდის** და ყველა **ხილეულობის წყლები.**

!!!გაფრთხილება!!!

ჩვენ მოგვარეთა და ყალბი იარლიკების გასარჩევათ ვთხოვთ მოითხოვონ წარწერა ყველა იარლიკზე. დიდი „ვერცხ. და ოქროს“ მედლები და ზავ. მარკა გემი „ოსკარი“. (20—13)

სასტუმრო
„ბორჯომი“
თფილისი, ვოგზლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწვდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.—3 მან., თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და **ევგენი პერტენავა.** 4—2.

კბილის ექიმი
ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილებს ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—2).

**სიკვდილი
ბაღლინჯოებს.**

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—7

**ავათმყოფებს და სუსტებს
„სპერმატინი“**

საყურადღებოთ ავათმყოფებისა და სუსტებისა, სპერ. არის საუკეთესო უტყუარი გამკურნავი წამალი და არჩენს შემდეგ სნეულებას.

1. არჩენს სისხლ-ნაკლეულობას და აახლებს მას.
2. ძილის სისუსტეს სიბერეში.
3. დაუძლურებულს ნერვების აშლილობას,
4 მამაკაცობის სიუძლურეს.
5. გადაჭარბებულს დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურს მუშაობის დროს.
6. ონანიზმს, ე. ი. ახალგაზრდობის ცუდს ჩვეულებას.
7. წითელ ქარს, სურავანდს, სიდამბლეს.
8. ქრონიკულს მუცლის შეკვრას, ე. ი. ყაბზობას.
9. ქალის ავათმყოფობას.
10. გულის სისუსტეს და გულის ფრიალსა.
11. რევმატიზმას და ხერხემლის ტვინის ტკივილსა.
12. ბუასილს, ბნედას.

ეს საშუალება ყველა ზევით მოხსენებულს ავათმყოფობას არჩენს, როდესაც არის შესრულებული კურსი, და არის მიღებული დარიგებისა და გვარათ და დიეტას ვინც ყურადღებას აქცევს, რომელიც ახლავს ფლაკონებს, და ვისაც არ შეუძლიან დიეტის შესრულება, ვურჩევთ ტყუილა ნუ იხარჯება და იმ შემთხვევაში წამლის ხმარება უქმი არის, კურსი შესდგება 20 წლიდან ზევით 4 ფლაკონი, 7-მდე. ქალისათვის ეს წესი არის საჭირო. ბავშვისთვის ერთი ფლაკონი საკმაო არის 2 წლ. და 2 ფლ. 4 წლ., 3 ფლ. 7 წ., 4 ფ. 20 წლ. გამოწერა შეიძლება ჩემს კანტორიდან და შეგიძლიანთ მოიკითხოთ აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიებში.

წიგნაკები უფასოთ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ., მთავარი ლაბორატორია მოსკოვში, ექიმი ივანოვისა. დარიგება თან ახლავს ფლაკონებს.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისთვის **ი. გ. ახობაძე.**
კანტორა და სკლადი თფილისში, ნეკრასოვის ქუჩა № 14. ვორონცოვის ძეგლთან.

**პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში**

ФАБРИЧ. КЛЕЙМО
Т. Р. Р. Ф. З.
ПРОВОДНИКЪ
РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1888

1908 წ.

**საფაბრიკო საწყობის განყოფილება
ამიერ-კავკასიისთვის
თფილისში** სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით
დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ლრუბელი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.
ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“
(25—6.—28).